საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ზოდელავა მამია მამიას ძე

ზოდელავა მამია მამიას ძე (დ. 2. III. 1949, თბილისი), ჰემატოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1987), პროფესორი (1990); საქართვ. მედ. მეცნ. აკად. ნამდვილი წევრი (1998). 1972 დაამთავრა თსსი. 1976–88 მუშაობდა თსსი-ის და თბილ. ექიმთა დახელოვნების ინ-ტის კათედრებზე. 1988–2006 იყო ჰემატოლოგიის და ტრანფუზიოლოგიის კათედრის გამგე, პროფესორი; 2001-იდან – სახელმწ. სარეზიდენტურო პროგრამის (სპეციალობა – ჰემატოლოგია) დირექტორი. ამავე წლიდან – ჰემატოლოგიისა და ქიმიოთერაპიის კლინიკა „ჰემას" დირექტორი, 2006-იდან – თსსუ-ის ონკოლოგიის და ჰემატოლოგიის დეპარტამენტის ონკოჰემატოლოგიის მიმართულების სრული პროფესორი, თსსუ-ის მედ. ფაკ-ტის სადისერტაციო საბჭოს თავ-რე (2007–09), საქართვ. სახელმწ. სამედ. აკად. დიდი საბჭოს წევრი (1996–2005). ზ-ს კვლევის ძირითადი სფეროა: მწვავე ლეიკემიების ქიმიოთერაპიისადმი რეზისტენტობის პროგნოზირება და დაძლევის პრინციპების შემუშავება. ზ. არის მრავალი სამეცნ. შრომის, მ. შ. –1 მონოგრაფიისა და 1 გამოგონების ავტორი.